ლენინის წვლილი რევოლუციურ თეორიაში მარქსისტული აზრის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. ლენინიზმი ჩვენი ეპოქის მარქსიზმია. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი მსოფლიოს ყველა კომუნისტის დღესასწაულია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დარწმუნებულია, რომ ლენინის მოახლოებულ იუბილეს გამოვიყენებთ კომუნისტურ მოძრაობაში იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აქტივიზაციისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევი

გამოსვლიდან — „კომუნისტთა შეკავშირების განმტკიცებისათვის, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ახალი აღმავლობისათვის“.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ივნისი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 139 (14439)

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი

14 ივნისს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი.

დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. პეხი, ფინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, თათბირმა მიიღო მიმართვა ინდონეზიელი კომუნისტებისადმი.

თათბირის დღის წესრიგის საკითხთა განხილვის დროს სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს: ნიკარაგუის სოციალისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა ამხ. რ. სანტოსმა, სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ჰ. ბაგდაშმა, რეიუნიონის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. პ. ვერუესმა, ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. რ. რადმანეშმა, დომინგოს კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა ამხ. ჰ. სანჩესმა.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. კ. პრესტესი. სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს: არალეგალურ პირობებში მომუშავე ერთ-ერთი მომე პარტიის დელეგაციის მეთაურმა, ჰონდურასის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ჰ. მორალესმა, გაიანის სახალხო პროგრესული პარტიის ლიდერმა ამხ. ჩ. ჯაგანმა, თურქეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. დემირმა.

□ □ □

მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. მარტინეზ ვერდუგომ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა 13 ივნისის საღამოს სხდომაზე, გამოთქვა რწმენა, რომ თათბირი დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე. იმედსაა, რამდენადაც ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცებასა და თანამედროვე სინამდვილის მრავალრიცხოვან საკითხთა შემდგომი განხილვის უკეთესი პირობების შექმნას.

მან აღნიშნა, რომ თათბირი არ უნდა ესწრაფოდეს, რომ დაგვის თათბირის მონაწილე თუ არამონაწილე რომელიმე პარტიის პოლიტიკა.

შეეხო რა პარტიების ურთიერთობას, ორატორმა განაცხადა, რომ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში არ მოქმედებს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი. და ამიტომ საქმე ეხება ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურას კი არა, არამედ იმ საშუალებათა ძიებას, რომლებსაც მოჰყვებოდა ერთიანობის განმტკიცება.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ იმპერიალიზმის კონტრშეტევებმა და მისმა ნაწილობრივმა წარმატებებმა ზოგიერთ უბანზე ვერ შეცვალეს საერთაშორისო განვითარების პროგრესული მიმართულება. დღეს მსოფლიოს ევოლუციის ხაზს განსაზღვრავენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მებრძოლი ძალები. ვერც ეკონომიურმა, ვერც დიპლომატიურმა ბოიკოტმა, ვერც ათასნაირმა ინტრიგებმა და ძირგამომთხრელმა საქმიანობამ ვერ დაარღვია გმირი კუბელი ხალხი. ვიეტნამელი ხალხი გმირულად იგერიებს იმ სანადგურო ომის ეს ამბიოს შეტევას, რომელმაც მსოფლიო ჟანდარმის როლი იკისრა. ხალხის გმირობა, შეიარაღებული ბრძოლისა და მასების პოლიტიკური ორგანიზაციის სწორი შერწყმა, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობა — აი ის ფაქტორები, რომლებიც ანიხსნება ამერიკის ინტერვენციის დამარცხება.

თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი ის არის, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ რევოლუცია პრაქტიკული პრობლემა ხდება მთელ რიგ ქვეყნებში. გაბატონებული კლასების პოლიტიკა ახლა კრიზისს განიცდის, ხოლო ხალხის მასების უკმაყოფილება ტამოიხატება ბობოქარი და ზოგჯერ მოულოდნელი ფორმით. ამიტომ ჩვენს მოქმედებაში მთავარ ყურადღებას ვაქცევთ ბურჟუაზიის ხელისუფლებისადმი რეალური ალტერნატივის შემუშავებას და ყველა მიმდინარეობის გაერთიანებას ისეთი ახალი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სოციალიზმი.

ლათინური ამერიკის ხალხთა დიდი ბრძოლები, ზოგჯერ შეიარაღებული ბრძოლა, მოწმობს, რომ დაჩქარებდა მწიფდება რევოლუციური პირობები.

ამხ. ა. მარტინეზ ვერდუგომ აღნიშნა აგრეთვე, რომ რევოლუციური მოძრაობა მდიდრდება, როცა ბრძოლაში ებმებიან მოსახლეობის ახალი ფენები. ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სტუდენტები, უზეუფლო ძალით იღაჭრებენ კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. მთელ რიგ ქვეყნებში ხდება შემბორკვნება — კათოლიკური მასები და არმიის წრეებიც კი. აქტიურ პროტესტს აცხადებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რასაც მოწმობს აბასწინანდელი ამბები პერუსა და დომინგოს რესპუბლიკაში. ახალი ფენების ჩაბმას ბრძოლაში მოჰყვება მცდარი შეხედულებებისა და მეთოდების წარმოქმნა შიგ რევოლუციურ მოძრაობაში. ჩვენ, კომუნისტები, ვალდებული ვართ ვიბრძოლოთ ამ მცდარი შეხედულებებისა და მეთოდების წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი ახალი ძალების როლის შეფასებისას, რადგან ისინი ობიექტურად აძლიერებენ რევოლუციურ ნაკადს იმით, რომ მთავარი რევოლუციური ძალის — მუშათა კლასის მოკავშირენი ხდებიან. ამავე დროს, განაგრძო ორატორმა, საჭიროა ბრძოლა ანტისაბჭოურისა და ანტიკომუნიზმის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, რაც გამთიშველი ელემენტების დროშა გახდა.

ამხ. ა. მარტინეზ ვერდუგომ აღნიშნა, რომ ჩვენს მოძრაობაში არის სერიოზული პრობლემები. მისი აზრით, ეს პრობლემები არ არის გამოწვეული რევიზიონისტული თუ ნაციონალისტური ხასიათის გადახრებით, უფრო, ისინი წარმოიშობა ისეთი ფაქტორების ერთობლიობის გავლენით, რომლებსაც ყურადღებით უდა შესწავლა. კერძოდ, მან აღნიშნა ასევ პირობებთან კოზუნისტური მოძრაობის შეგუების პრობლემები, რომლებშიც ჩაღდება ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალისტური მშენებლობისათვის, მოსახლეობის ახალი ფენების ჩაბმა რევოლუციურ მოძრაობაში, კომპარტიათა გადაქცევა წამყვან ეროვნულ ძალად და სხვ.

მაგრამ, ხაზი გაუსვა ორატორმა, ერთი საკმეა — აზრთა სხვადასხვაობა და სულ სხვა — განსხვავებული. აზრთა აზრთა სხვადასხვაობა განხეთქილებად გადაიქცევა, დიდ როლს ასრულებს იმ ნორმების დარღვევები, რომლებიც ეხება ინტერმეცნიერული თანაარსებობისა კომუნისტურსა და მუშათა პარტიებმა. ამ ნორმებს დაკვა კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის აღდგენის ერთ-ერთი საჭირო პირობაა.

შეეხო რა მექსიკის მდგომარეობას, ამხ. ა. მარტინეზ ვერდუგომ განსაკუთრებით აღნიშნა როლი სტუდენტთა და მთელი ხალხის მოძრაობისა, რომელმაც მეაზანზარა ქვეყანა უკანასკნელი თვეების მანძილზე, და ილაპარაკა ამ მოძრაობაში მექსიკის კომუნისტური პარტიის მონაწილეობის შესახებ.

დასასრულ მან მოუწოდა თათბირის დელეგატებს სოლიდარობა გამოთქვან მექსიკაში რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ.

სპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. კ. კოლიიანისმა განაცხადა, რომ ეთანხმება ძირითადი დოკუმენტის პროექტის დებულებებსა და თათბირის სხვა დოკუმენტებს, და თქვა, რომ საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა დელეგაციას ხელი მოაწეროს ამ დოკუმენტებს.

ბერძენი ხალხი, ქვეყნის პროგრესული ძალები, რომელთა ავანგარდში არიან კომუნისტები, თქვა ორატორმა, მწვავან ძნელ, მკაცრ, დიდ მსხვერპლთან დაკავშირებულ ბრძოლას იმ ანტისახალხო რეჟიმისაგან განთავისუფლებისათვის, რომელიც ხალხს იარაღის ძალით მოახვიეს თავს. სამხედროფაშისტურმა გადატრიალებამ საბერძნეთში გააშიშვლა ამერიკის იმპერიალიზმის ჟანდარმის როლი. სამწუხაროდ, კომპარტიამ და სხვა დემოკრატიულმა ძალებმა ვერ შეძლეს ჯეროვანი პასუხი გაეცათ რეაქციისათვის, თუმცა პოლიტიკური ძალების თანაყარობა იძლეოდა ამის საშუალებას. მიზეზი ის არის, რომ ბუნებრივ-დემოკრატიული პარტიების, განსაკუთრებით ცენტრის კაშრის ლიდერებმა, რომლებიც მაშინ ხელისუფლების სათავეში იდგნენ, ხელმძღვანელობდნენ რა ანტიკომუნიზმის იდეოლოგიით, უარი თქვეს მემარცხენეებთან თანამშრომლობაზე.

ფაშისტური ხუნტა ათასობით პატრიოტს, და, ბუნებრივია, პირველ რიგში კომპარტიის წევრებსა და აქტივისტებს — ტარანიის წინააღმდეგ ყველაზე თანმიმდევრულ მებრძოლ ხოცავდა, აწამებდა, აპატიმრებდა, ბუანდა სიკვდილის კუნძულებზე საკონცენტრაციო ბანაკებში. მათ შორის ბევრია საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მარტო მაისში ხუნტის სამხედრო ტრიბუნალებმა ხანგრძლივი პატიმრობა

(გაგრძელება მე-3 გვ.).

ალვნიშნოთ ლენინის იუბილე ახალი წარმატებებით საბჭოთა ეკონომიკაში და კულტურულ მშენებლობაში!

ამხანაგ ვ. პ. ფეტვიანაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო!

ყოველი დღე გვიახლოებს ღირსშესანიშნავ თარიღს პარტიისა და ხალხის ისტორიაში— გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციონერის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

რაც უფრო გვშორდება დრო, როცა ცხოვრობდა, იბრძოდა და იღვწოდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, მით უფრო ღრმად გვესმის ლენინის სიდიადე, მისი იდეური მემკვიდრეობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, იმის გრანდიოზულობა, რაც მან მოახდინა.

წლითიწლობით სულ უფრო ფართოდ ვლინდება ლენინიზმის შემოქმედითი ძალა —რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების მარად ცოცხალი წყარო.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, დაიწყო დიდი ხანია, იმ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ეგებებოდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

შარშან ივლისში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“, რომლის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მთავარი; ძირითადი ამოცანები ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადების დარგში და დასახა მათი განხორციელების კონკრეტული გზები.

ამ მიმართულებით მუშაობას ახასიათებს ორი ძირითადი მომენტი.

პირველი, მშრომელთა მობილიზაცია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ახალი საწარმოო წარმატებებისათვის, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საბრძოლველად.

მეორე, მასებში ლენინის იდეების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფართო პროპაგანდა, მშრომელებისათვის ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღრმად გაცნობა.

დღეს, ერთი წლის შემდეგ, რაც მოღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ჩვენ უნდა შევაჯამოთ ლენინის იუბილეს მზადებისათვის გაწეული მუშაობის პირველი შედეგები, ვილაპარაკოთ ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, იმაზე, თუ როგორ უზრუნველვყოთ ხალხოვანი წლისთავის ღირსეულად შეხვედრა.

ყველა საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, და ახლა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების მთელი მუშაობა, ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი სახალხო ინტელიგენციის შრომითი საქმიანობა მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების ნიშნით.

ამ თარიღის აღსანიშნავად უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, ნაკისრია ახალი, გადიდებული ვალდებულებანი, ბმულია ლენინდღიანები, რომელთა მიზანია პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციური, მასობრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება.

მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ ნაწილში გვაქვს ბევრი ნაკლოვანება, რომელთა შესახებ უნდა ვილაპარაკოთ აშკარად და გულახდილად, რათა რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ ისინი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ცნობილი ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ წლისთავის ზეიმის საუკეთესო წესი ის არის, რომ ყურადღება მივაპყროთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებს.

რას უნდა დაუთმონ ახლა მთავარი ყურადღება რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რას უნდა მოახმარონ მეცადინეობა კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა?

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დამყარებულია მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლაში მთავარია ეკონომიკა.

ამიტომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მრეწველობის დარგში ის არის, რომ ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა გეგმების განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ემზადებიან რა ლენინის იუბილესათვის, რესპუბლიკის ყველა საწარმოს კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

გასული სამეურნეო წელი ჩვენმა მრეწველობამ ცუდად როდი დაამთავრა, წლიური გეგმა ვადამდე გაანღდა. გადაჭარბებით შესრულდა არა მარტო სახელმწიფო დავალებანი, არამედ მარგანეცის მოპოვების, ავტომანქანების გამოშვების, ჩაის, ღვინის, ხორცის, რძის და ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების ნაკისრი ვალდებულებანი.

დღეს შეიძლებოდა დაგვესახელებინა ათობით საწარმო, სოციალისტური შეჯიბრების ასობით მოწინავე, რომელებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ ხუთწლედის ვადამდე შესრულებაში, ისეთები, როგორიც არიან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ვლადიმერ მეტრეველი, თბილისის კამოლმაუდის კომბინატის მქსოველი მაყვალა ბარათაშვილი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატი პავლე ტენიშჩევი, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მებიგე ჭიკოკა ადლეიბა, თბილისის ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს“ ამწყობი ზინაკალი ვალერი გოშაძე, ტრესტ ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ კალატოზი გიორგი დემეტრაშვილი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი გრიგოლ ნანიტაშვილი, თბილისის აბრეშუმსაქსოვილი ფაბრიკის მუშა ლეილა ვიბლიანი და ბევრი სხვა.

დადგნენ რა ლენინურ შრომითს ვახტაზე, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობათა საწარმოების ნოვატორები იჩენენ ინიციატივას, თანსწორებას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდისათვის.

მაგალითად, თბილისის 26 კომისრის. სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში გაიშალა შეჯიბრება მხოლოდ ჩინებული ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვებისათვის. რუსთავის ქიმიური კომბინატის კოლექტივმა მშრომელებს მოუწოდა მაქსიმალურად აამაღლონ თვითეული საწარმოს რენტაბელობა. რესპუბლიკაში მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოვის საწარმოთა პატრიოტულ თათხმობას, რომლებმაც გადაწყვიტეს ლენინის იუბილეს დღეს — 1970 წლის 22 აპრილს — იმუშაონ დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით.

როცა ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რა ფართო გაქანება მიიღო ხოლინი არ ექვემდებარებიან ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებას, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ დადგენილებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ევალებათ დაადგინონ, თუ რა წესით უნდა მიამაგრონ გამოყოფილი ავტომობილები საავტომობილო მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, და რა წესით შექმნან ამ მანქანებისაგან ავტოკოლონები, აგრეთვე უზრუნველყონ ავტომობილების მომარაგება სათადარიგო ნაწილებითა და სარემონტო საშუალებებით.

საგანგებო ავტომობილების, ტრაქტორებისა და კომბაინების უწესივრობისა და დაზიანების ოპერატიულად აღმოფხვრის მიზნით საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, რომლებსაც ტიპური სარემონტო სახელოსნოები აქვთ, რეკომენდაცია ეძლევათ შექმნან კვანძებისა და აგრეგატების საჭირო გამოსაცვლელი ფონდი. საჭიროდ არის მიჩნეული მოეწყოს საგანგებო ავტომობილების მუშაობა მთელი დღეღამის განმავლობაში მარცვლეულისა და ხოლოდ მეურნეობის სხვა პროდუქტების გადასაზიდად. ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასკომები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მოსავლის აღებაზე დასაქმებული ყველა ავტომობილის დაკომპლექტება მძღოლთა შემადგენლობით, ისე, რომ ყოველ ავტომობილს ჰყავდეს ორი შოფერი, და საჭიროების შემთხვევაში შოფერები მოიწვიონ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან.

შოფრებს, შემკეთებელ მუშებს, მექანიკოსებს, ავტოკოლონების უფროსებსა და საავტომობილო მეურნეობათა დირექტორებს, რომლებსაც მიგლინებთ გზაგზაან მარცვლეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების, აგრეთვე სილოსის მასის გამოსაზიდად, მთელი მიგლინების განმავლობაში ენახებათ საშუალო ხელფასის 75 პროცენტი, რომელიც მათ ძირითადი სამუშაო ადგილის სტატიფიო დანაკვეთზე ნაკლები არ უნდა იყოს. აღნიშნულ თანხას ხელფასი, დაწესებულებანი და ორგანიზაციები საკუთარი სახსრების ხარჯზე უხდიან ამ მუშაკებს მათი ძირითადი მუშაობის ადგილას. ამასთან დაკავშირებით მიგლინებულ მუშაკებს დღიური და ბინის ქირა არ ეძლევათ.

დადგენილია, ავტომობილებისა და მისაბმელიანი ავტომობილების (ავტომატრანსპორტიორების) შოფრებისათვის 1969 წლის მოსავლის

(დასასრული მე-2 გვ.).

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის განცხადება

მოსკოვში შეკრებილი 75 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები გულისყურმოდგინებით და აღფოთებით შეხვდნენ ცხობას, რომ ჰაიტიში კვლავ მასობრივად ამატებრენენ და მხეცურად ხოცავენ კომუნისტებს, დემოკრატებსა და სხვა პატრიოტებს.

რამდენიმე დღის წინათ დახოცეს ამხანაგები ჟერალდ ბრისონი, დანიელ სანსარიკი, ჟერარ ვალენტრანდტი, ბაკ ფენო და კომუნისტთა სხვა თვალსაჩინო ხელმძღვანელები. ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ჟოზეფ რონეს სიცოცხლე, რომელიც ხელი ეგდეს დიუვალიეს ჯალათებმა, საფრთხეშია.

ტირანული რეჟიმის 12 წლის მანძილზე დიუვალიემ, რომელიც ხელისუფლებას ინარჩუნებდა მხოლოდ ამერიკის მონოპოლიათა დახმარებით, ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად გადაქცია. ხალხის ჟლეტა, წამება, სიკვდილის გაანჩენები, ანტიხალხური კანონმდებლობა და, კერძოდ, თავმესაფრის უფლების კანონის გაუქმება — ყოველივე ეს მიზნად ისახავს ჰაიტელ პატრიოტთა წინააღმდეგობის ჩახშობას. დიუვალიეს რეჟიმის მახვილი მიმართულია ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის წევრთა — სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ნათელი მომავლისათვის მაბაც მებრძოლთა წინააღმდეგ.

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი ძმურ სოლიდარობას უცხადებს ჰაიტის კომუნისტებსა და დემოკრატებს, რომლებიც ღრმა იატაკქვეშეთის პირობებში ყოველდღიურად საფრთხეში იგდებენ სიცოცხლეს და გაგრძობენ თავდადებულ ბრძოლას ტირანიის წინააღმდეგ.

თათბირი მოუწოდებს მშრომელ მასებს, ყველა ქვეყნის დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს გადაჭრით მოითხოვონ შეწყდეს ტერორი, ჰაიტელ კომუნისტთა და სხვა პატრიოტთა ხოცვა და დევნა.

მარადიული ხსოვნა გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს ტირანიის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

თავისუფლება ამხანაგ ჟოზეფ რონეს!

თავისუფლება ჰაიტის ყველა პოლიტიკურ პატიმარს!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1969 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

იმ მიზნით, რომ დროზე და მაღალხარისხოვნად, მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებულ იქნას მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს მარცვლეულის და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმა და უზრუნველყოფილ იქნას მათი გამოზიდვა და შენახვა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის კავშირ მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ბორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, პარტიის საშტაბრეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების დროზე მომზადება 1969 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“ და გზათა სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დასაჩქარებლად შექმნილი პირობების მიხედვით ნება ეძლევათ 1969 წლის ივნის-აგვისტოში შეცვალონ სოფლის მეურნეობის საპროფესიისათვის ფონდების მიხედვით გამოყოფილი მარცვლის ასაღები კომბაინების მიწოდების ვადები.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სხვა სამინისტროები მოვალენი არიან 1969 წელს უზრუნველყონ მოსავლის ასაღები სასოფლო-სამეურნეო მანქანების ვადამდე დამზადება და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდება გამოყოფილი ფონდების ანგარიშში.

სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს დავალებული აქვს გამოუშვას და დამატებით მიაწოდოს 1969 წელს ნავთობპროდუქტები მოსავლის აღების სამუშაოთა შესასრულებლად.

სამინისტროებს და უწყებებს, რომლებიც ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ექსკავატორების სათადარიგო ნაწილებს ამზადებენ და აწვდიან სოფლის მეურნეობას, დაევალათ უზრუნველყონ მათი ვადამდე გაგზავნა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სათადარიგო ნაწილების თანაბარზომიერ მიწოდებას რესპუბლიკებისათვის, მხარეებისა და ოლქებისათვის.

1969 წელს მოსავლის ასაღებად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, პურის მისაღებ პუნქტებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო და პურის მისაღებ საწარმოებს დამატებით გამოეყოფათ მანქანები, მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები და მასალები.

სსრ კავშირის სახმომარაგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ევალებათ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობისა და დამამზადებელი ორგანიზაციების საჭიროებისათვის ლითონის, საშენი მასალების, ლითონის ნაწარმისა და მოწყობილობის მიწოდება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტი მოვალენი არიან დროზე მოამზადონ პურის მიმღები საწარმოები 1969 წლის მოსავლის მარცვლეულის მისაღებად, განახორციელონ იქ საჭირო ღონისძიებანი დიდტვირთიანი ავტომობილებიდან და ავტომატარებლებიდან მარცვლეულის უსწრაფესად გადმოტვირთვისათვის, ამისათვის განახორციელონ მოქმედი ავტომობილგანმტვირთავების რეკონსტრუქცია და დადგან ახალი ავტომობილგანმტვირთავები. დადგენილ ვადებში უზრუნველყონ კაღრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შესრულება, მოლიანად დაკომპლექტონ პურის მისაღები საწარმოები ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით, აგრეთვე მასობრივ პროფესიათა მუშებით, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მარცვალგამშრობელთა, მექანიზატორთა, ელექტრიკოსთა, ლაბორანტთა, მენიბრეთა და მოანგარიშეთა პერსონალის მომზადებას.

1969 წელს სახელმწიფო რესურსების მარცვლეულის უკეთ დაბინავებისა და შენახვის უზრუნველყოფის მიზნით, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტი მოვალენი არიან დროზე მოამზადონ პურის მიმღები ადგილები 1969 წლის მოსავლისა და ნედლეულის ასაღებად.

ბერძენი ხალხი, ქვეყნის პროგრესული ძალები, რომელთა ავანგარდში არიან კომუნისტები, თქვა ორატორმა, მწვავან ძნელ, მკაცრ, დიდ მსხვერპლთან დაკავშირებულ ბრძოლას იმ ანტისახალხო რეჟიმისაგან განთავისუფლებისათვის, რომელიც ხალხს იარაღის ძალით მოახვიეს თავს. სამხედროფაშისტურმა გადატრიალებამ საბერძნეთში გააშიშვლა ამერიკის იმპერიალიზმის ჟანდარმის როლი. სამწუხაროდ, კომპარტიამ და სხვა დემოკრატიულმა ძალებმა ვერ შეძლეს ჯეროვანი პასუხი გაეცათ რეაქციისათვის, თუმცა პოლიტიკური ძალების თანაყარობა იძლეოდა ამის საშუალებას. მიზეზი ის არის, რომ ბუნებრივ-დემოკრატიული პარტიების, განსაკუთრებით ცენტრის კაშრის ლიდერებმა, რომლებიც მაშინ ხელისუფლების სათავეში იდგნენ, ხელმძღვანელობდნენ რა ანტიკომუნიზმის იდეოლოგიით, უარი თქვეს მემარცხენეებთან თანამშრომლობაზე.

ფაშისტური ხუნტა ათასობით პატრიოტს, და, ბუნებრივია, პირველ რიგში კომპარტიის წევრებსა და აქტივისტებს — ტირანიის წინააღმდეგ ყველაზე თანმიმდევრულ მებრძოლ ხოცავდა, აწამებდა, აპატიმრებდა, ბუანდა სიკვდილის კუნძულებზე საკონცენტრაციო ბანაკებში. მათ შორის ბევრია საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. მარტო მაის

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(დასასრული)

სამწუხაროდ, ჩამორჩება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მეოთხედი, მთლიანად კი სამინისტროს ვერ შესასრულა რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ხუთი თვის დავალება.

ისეთი მოწინავე სამშენებლო კოლექტივების წარმატებებთან ერთად, როგორიც არიან ტრესტი „ბიკვინთმშენი" (მმართველი ა. ბულია), № 4 ტრესტი (მმართველი კ. აბესაძე), № 5 ტრესტი (მმართველი მ. უსტიაშვილი), მთელი რიგი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

ვერ შესასრულეს საგეგმო დავალებანი და მით უმეტეს, ნაკისრი ვალდებულებანი № 8 ტრესტის (მმართველი გ. შანიძე), № 11 ტრესტის (მმართველი ო. გულუა), № 9 ტრესტის (მმართველი ე. ქარაფშიძე), მთავართბილმშენის (მმართველი გ. შენგელია), რუსთავისა და ლილოს საშენ მასალათა კომბინატების კოლექტივებმა, რომლებსაც ამას წინათ სათავეში ჩაუდგნენ ახალი ამხანაგები.

რა ძირითადი ნაკლოვანებანია ჩვენი საწარმოების მუშაობაში? ეს არის უწინარეს ყოვლისა თვით წარმოების ორგანიზაციის დაბალი დონე, რის შედეგადაც საწარმოები რიტმულად არ მუშაობენ, ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი, დაბალია წარმოების კულტურა. ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი არ არის მუშახელის დენადობა, რაც აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს წარმოებაზე. საკირო განვახორციელოთ უფრო ქმედითი ღონისძიებანი მუშახელის შესანარჩუნებლად, ამისათვის კი მეტი უნდა ვიზრუნოთ შრომის ნორმალური პირობების შესაქმნელად, მშრომელთათვის საკირო სანიაღვო პირობების შესაქმნელად.

ბევრი ნაკლი გვაქვს სამშენებლო საქმის ორგანიზაციაში. დაბალია სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, ბევრ ობიექტს საექსპლოატაციოდ გადასცემენ არსებითი ხარვეზებითა და დეფექტებით. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს მშენებლობის სათანადო კულტურა. სანამ მშენებლობას დავიწყებდეთ, ჯერ უნდა მივიყვანოთ გზა, უზრუნველყოთ სამშენებლო მოედანი წყლითა და ელექტროენერგიით. ეს რა მშენებლობაა, თუ წყალი მიაქვთ ცისტერნებით და პირველი წვიმისთანავე სამშენებლო მოედანს ვერ მიუდგები, ბოლო მექანიზმები ცდებიან ელექტროენერგიის უქონლობის გამო?

პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გაძლიერონ კონტროლი მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის საწარმოთა საქმიანობისადმი, აამაღლონ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ხუთწლედის დავალებათა უფრო შესრულებისათვის, დიუხმარონ ჩამორჩენილ საწარმოებს თავი დააღწიონ გარღვევებს. სწორად უნდა გავანაწილოთ კომუნისტები წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, ყოველი ღონისძიებით მივაღწიოთ შრომითი და საწარმო დისციპლინის განმტკიცებას.

მთავარი კი, რაც უნდა გავაკეთოთ სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ეს არის შრომის ნაყოფიერების გადიდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, უმთავრესი ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ბევრი ჩვენი საწარმო თანმიმდევრულად ახორციელებს პარტიის მიერ შემუშავებულ სამეურნეო ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ეს არის შრომის ნაყოფიერების გადიდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, უმთავრესი ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ბევრი ჩვენი საწარმო ითანმიმდევრულად ახორციელებს პარტიის მიერ შემუშავებულ სამეურნეო ფუფრმის პრინციპებს. მიმდინარე წლის მეორე კვარტალის დამდეგისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია უკვე 688 სამრეწველო საწარმო. მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად დამთავრებული. იგი უნდა განვაგრძოთ და მტკიცედ გვახსოვდეს, რომ სამეურნეო რეფორმა სახვა წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების გზებს.

დაე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება გახდეს ნამდვილი ეკონომიკური ზეიმი, საბალხო მეურნეობის მართვის მეთოდების სრულყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის დაჩქარების მძლავრი სტიმული!

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის, 1966 წლის მაისისა და 1968 წლის ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად უკეთ გამოიყენოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა რეზერვი.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შეჯიბრების მოწინავეთა შორის შეიძლება დავასახელოთ გურჯაანის რაიონის მეკვინეს თამარ ხარაზიშვილი, მახარაძის რაიონის მეჩაიე ტატიანა ჩხაიძე, ცხინვალის რაიონის მებაღე გიორგ ალბოროვი, ნოთალწყაროს რაიონის მექანიზატორი თენგიზ იაკობიშვილი, ყვარლის რაიონის მეხიმინდე სოლომონ ბულბულაშვილი, ხაშურის რაიონის მეკარხელი ბაბო ზაუტაშვილი, ახალციხის რაიონის მეკარტოფილე ალეიმ გოხალაშვილი, გარდაბნის რაიონის მებოსტნე მურამზ გასანოვი, გუდაუთის რაიონის მეთამბაქოე კაბა ცვიება, ბოგდანოვკის რაიონის მწველავი არუსიაკ აივაზიანი, ყაზბეგის რაიონის მწყემსი გიგო გელაძე და მრავალი სხვა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ხუთწლედის მეხუთე წელს. გადაჭარბებით შესრულდა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ყველა ჩვენგანი გაეცნო ცნობას, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ გაიმარჯვა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოფლის მეურნეობის განვითარებაში 1968 წელს მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკას გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და ს. კავშირო პროფსაბჭოს ბარდახანული წითელი დროშა.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ავრეთვე წითელწყაროს რაიონმა და 14 მეურნეობამ.

ეს მაღალი ჯილდო სოფლის მეურნეობის მუშაკებს ავალებს უფრო ენერგიულად იშრომონ და უფრო წარმატებით გადაჭრან ხასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის რთული ამოცანები.

როგორც იცით, მიმდინარე წლის მარტში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელმაც განიხილა 1968 სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანები 1969 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

კრების მონაწილეებმა სოფლის ყველა მშრომელის სახელით იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებშიც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა, გეგმასთან შედარებით მარცვლეულ, ყურძნის, ჩაის, ბოლის, ციტრუსების, ბაქრის ჯიბლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბორცის, ძროს, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. გაეთანურებული ზამორეხა და ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შესრულეს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქტების სახელმწიფოსთვის მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

კარგად მუშაობენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები. მათ უკვე მოკრიფეს 100.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 25.000 ტონით მეტი, ვიდრე მოკრეფილი იყო გასული წლის ამავე რიცხვისათვის.

ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდა საგაზაფხულო თესვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საშემოდგომო კულტურები დათესეს 200 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე, საგაზაფხულო — დაახლოებით 400 ათას ჰექტარზე.

ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო წარმოების, განსაკუთრებით ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, აგრეთვე ბოსტნეულის წარმოებაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ჩვენში ხუსტად ხდება მეცხოველეობის ფერმების, განსაკუთრებით მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

ჩვენში არის მეურნეობანი, რომლებიც არათუ ვერ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, არამედ თავს ვერ არომეევენ სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვის სახელმწიფო დავალებებს.

მაგალითად, ჩამორჩება სოფლის მეურნეობის ზოგიერთი წამყვანი დარგი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. რამდენიმე წელია ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობანი ვერ ასრულებენ თამბაქოს ნედლეულის წარმოების გეგმებს. წელს აქ დარღვეულია სიმინდის თესვის ვადები.

